



---

გაეროს ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციით  
ნაკისრი ვალდებულებების ინტეგრაციისთვის სახელმწიფო  
უწყებების მანდატების  
(როლი და პასუხისმგებლობა) ჰარმონიზება

---

ანგარიში მომზადებულია პროექტის “გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში

პროექტი - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ - ინიცირებულ იქნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. პროექტს ახორციელებს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, ინფორმაციის გაცვლისა და მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის გზით. გარემოსდაცვითი ინფორმაციის/ცოდნის მართვის სისტემა ხელს შეუწყობს, როგორც ეროვნული მიზნების მიღწევას, ისე საერთაშორისო (რიოს სამი კონვენცია) ვალდებულებების შესრულებას.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს გაერო-ს განვითარების პროგრამის შეხედულებათა ამსახველად.

## შინაარსი

1. კვლევის მიზანი და მოცულობა .....	2
2. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი .....	5
3. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემები .....	11
4. ტყის ეკოსისტემებთან და ტყის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები	15
5. სახეობებთან და ჰაბიტატებთან დაკავშირებული მონაცემები .....	20
6. ნადირობასა და თევზჭერასთან დაკავშირებული მონაცემები .....	24
7. აგრობიომრავალფეროვნებისა და სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული მონაცემები.....	26
8. საზოგადოების ცნობიერება-, ჩართულობა- და განათლებასთან დაკავშირებული მონაცემები	29
9. ფინანსური რესურსები.....	30
10. საერთო რეკომენდაციები.....	30

### 1. კვლევის მიზანი და მოცულობა

დავალების მიზანი:

შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების იდენტიფიცირება და კონკრეტული როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, რათა მოხდეს ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის გაუმჯობესებული მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაცია.

ანგარიში მოიცავს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის გენერირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული სააგენტოების და უწყებების როლებისა და პასუხისმგებლობების ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციების ჰარმონიზებისათვის.

ანგარიში მომზადდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული შემდეგი კვლევების შედეგების საფუძველზე:

1. Roles of relevant national agencies on environmental information management and monitoring;
2. Analysis of responsibilities of existing stakeholders in the implementation of the Rio Conventions with identification of institutional overlaps or gaps;
3. In-depth capacity needs assessment on the Rio Conventions monitoring and reporting.

ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი კვლევის შედეგები:

Identification of national needs for monitoring trends related to biodiversity.

ანგარიშის მომზადება ემსახურება შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- i. შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების და მათი თანამშრომლების როლისა და პასუხისმგებლობების შეფასება ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მართვაზე/მონიტორინგზე;
- ii. წამყვანი არასამთავრობო დაინტერესებული დაწესებულებების პასუხისმგებლობების შეფასება, რომლებიც ხელს უწყობენ რიოს კონვენციას ბიომრავალფეროვნების შესახებ (CBD) განხორციელებას;
- iii. ეროვნული სააგენტოების დეტალური როლებისა და პასუხისმგებლობების პროექტის შედგენა, რომელიც დაკავშირებულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან და შესაბამისი მონაცემების/ინფორმაციის გენერირებასა და გაზიარებასთან. ეს სამუშაოები დაეფუძნება ზემოთ ხსენებულ შეფასებებს, მათ შორის ნებისმიერ სხვა შესაბამის კვლევებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა როლებისა და პასუხისმგებლობების შეჯერებასა და ჰარმონიზებას. როლები და პასუხისმგებლობები უნდა სტრუქტურირდეს ცოდნის შექმნისა და გამოყენების მიზნით, რომელიც უკეთეს ინფორმაციას მოგვაწვდის საქართველოს მთავარი ეროვნული განვითარებისა და დაგეგმვის სისტემის ერთობლივი მართვის შესახებ.

- iv. ეროვნული სააგენტოების როლებისა და პასუხისმგებლობების დეტალური პროექტის შედგენა ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ანგარიშის ძირითად ნაწილში გაანალიზებულია იდენტიფიცირებული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები მონაცემების/ინფორმაციის მართვაში, კერძოდ, არის თუ არა კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ვალდებულება, იქმნება თუ არა მონაცემი შესაბამისი უწყების მიერ, ხდება თუ არა მონაცემების სისტემატიზაცია, განახლება, ანალიზი და არქივირება, არსებული ხარვეზები, ხელისშემშლელი მიზეზები და ბოლოს, მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. თუ საჭირო მონაცემების/ინფორმაციის წარმოება დღეის მდგომარეობით არ ევალუა არც ერთ უწყებას, ამ შემთხვევაში მოცემულია რეკომენდაცია, თუ სამომავლოდ, რომელი უწყება შეიძლება იყოს ყველაზე რელევანტური მონაცემების შექმნის თვალსაზრისით.

ანგარიშზე თანდართულია Excel-ის ფაილი, რომელშიც შეტანილია შემდეგი ინფორმაცია:

- A. ბიომრავალფეროვნების ინდიკატორის წარმოების მიზანი;
- B. სექტორი;
- D. ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები;
- E. მონაცემის ტიპი;
- F. გაზომილება/ერთეული;
- G. ინფორმაციის წყარო/მონაცემის შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება;
- H. მონაცემის შეგროვების ინტენსივობა;
- I. შეგროვების მეთოდი;
- J. მონაცემის შენახვის ფორმატი და უწყება, სადაც ინახება მონაცემი;
- L. კომენტარი (ძირითადი ნაკლოვანებები, მათ შორის ინსტიტუციური, სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და ა.შ. და რეკომენდაციები აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე);
- M. მაქსიმუმ სამი ძირითადი მომხმარებელი უწყება გარემოს დაცვის სამინისტროს გარდა.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის განხორციელების მონიტორინგისა და ეროვნულ დონეზე ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია იდენტიფიცირებული იქნა საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (NBSAP) განსაზღვრული ეროვნული მიზნების მიღწევის ინდიკატორებისა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის (NBMS) ფარგლებში მიღებული ინდიკატორების საფუძველზე. ასევე, გათვალისწინებული იქნა გლობალური ინდიკატორები ბიომრავალფეროვნების აიტის მიზნების მიღწევის შეფასებისათვის<sup>1</sup>. დაცულ ტერიტორიებთან და ტყეებთან დაკავშირებით, ასევე

1 UNEP/CBD/COP/13/2/Rev.1,25 October 2016\* CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, Thirteenth meeting, Cancun, Mexico, 4-17 December 2016  
UPDATED COMPILATION OF DRAFT DECISIONS FOR THE THIRTEENTH MEETING OF THE CONFERENCE OF THE PARTIES TO THE CONVENTION ON BIOLOGICAL DIVERSITY, Item 19.Guidelines for the sixth national reports, modalities for future editions of the Global Biodiversity Outlook and indicators, Annex  
GENERIC AND SPECIFIC INDICATORS FOR ASSESSING PROGRESS IN THE ATTAINMENT OF THE AICHI BIODIVERSITY TARGETS, INCLUDING AN ASSESSMENT OF THEIR MAIN CHARACTERISTICS

გათვალისწინებულია WWF-ის მიერ კავკასიის ეკორეგიონში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ფარგლებში შერჩეული ინდიკატორები<sup>2</sup>. ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების გადახედვისა და განახლების შესაბამისად შესაძლოა მოხდეს ამ მონაცემებისა და ინფორმაციის გარკვეული ცვლილება.

## 2. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს** დებულების<sup>3</sup> თანახმად, სამინისტროს მმართველობის სფეროს განეკუთვნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ორგანიზების ხელშეწყობა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია, დებულების თანახმად არის **ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის** ამოცანა. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი შეიქმნა 2016 წლის აგვისტოში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ორი სტრუქტურული ერთეულის - ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურისა და სატყეო პოლიტიკის სამსახურის გაერთიანების შედეგად. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ამოცანა ასახულია დეპარტამენტის დებულებაში<sup>4</sup> და წარმოადგენს დეპარტამენტის შემადგენლობაში შემავალი ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს ფუნქციას. დებულების თანახმად დეპარტამენტი უფლებამოსილია მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა პირებისაგან სათანადო ინფორმაცია და მასალები დეპარტამენტის კომპეტენციით განსაზღვრულ საკითხებზე.

„ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის“<sup>5</sup> მიხედვით ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურს (რომელიც ამჟამად შედის ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის შემადგენლობაში ბიომრავალფეროვნების სამმართველოს სახით) ევალება ინდიკატორების მიხედვით მონიტორინგის წარმოება (ინდიკატორის დაანგარიშება). ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორები მოცემულია ამავე წესში. ამავე დოკუმენტით არის განსაზღვრული ზოგიერთი ინდიკატორის წარმოების მეთოდოლოგია (ინდიკატორის განმარტება, დაანგარიშების პერიოდულობა, დაანგარიშების მეთოდი). ხოლო ინფორმაციის / მონაცემების წყაროს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემისათვის წარმოადგენს:

- სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ინფორმაცია / მონაცემები, რომლებიც გენერირდება მათი საქმიანობიდან გამომდინარე;

<sup>2</sup> <http://www.wwfcaucasus.net/>

<sup>3</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #98 დადგენილებით

<sup>4</sup> დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს #29 ბრძანებით.

<sup>5</sup> დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის #262 ბრძანებით.

- სხვა სახელმწიფო უწყებებიდან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და კვლევითი დაწესებულებებიდან წერილობით გამოთხოვილი ინფორმაცია;
- სამინისტროს დაკვეთით ექსპერტების მიერ მომზადებული ინფორმაცია.

თუმცა მინისტრის ბრძანებით არ არის განსაზღვრული კონკრეტული სტრუქტურული ერთეულები, სახელმწიფო უწყებები და ორგანიზაციები საიდანაც ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველომ შეიძლება გამოითხოვოს ინფორმაცია და არც ამ ორგანიზაციების მოვალეობები, დაკავშირებული მონაცემების გენერირებასთან.

აღნიშნული ნორმატიული აქტებით ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახურს არ ევალება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის მონაცემების გენერირება, მონაცემთა ბაზების შექმნა, წარმოება, არქივირება. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ დეპარტამენტს არ გააჩნია რესურსი ინდიკატორების მიხედვით მონაცემთა ანალიზისათვის. არ არსებობს საშტატო ერთეული/ერთეულები, რომლის მოვალეობაც იქნებოდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ორგანიზება. საჭიროების მიხედვით, ბიომრავალფეროვნების სამსახური წერილობით ითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მათ შორის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულებიდან შესაბამის ინფორმაციას/მონაცემებს. თუმცა არ ხდება მონაცემთა სისტემატიზირება, შენახვა და განახლება შესაბამისი ადამიანური რესურსების და პროგრამული უზრუნველყოფის არ არსებობის გამო.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ტექნიკურ დახმარებას უწევს პროგრამა „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBiS), რომელიც ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ფარგლებში GIZ მხარს უჭერს შესაძლებლობების განვითარებას, შერჩეული ინდიკატორების მიხედვით მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგიების შემუშავებას, მეთოდების ტესტირებას, საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს, ასევე, მონაცემების გენერირებაზე პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომლების ტრენინგებს. იგივე პროგრამა მხარს უჭერს ტყის ეროვნული მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას. პროექტის აქტივობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ-გვერდზე <http://biodiversity-southcaucasus.org>. პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა მნიშვნელოვანი კვლევა ``Options for the Management of Biodiversity and Forestry Data, Georgia``<sup>6</sup>, რომლის შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების პროცესში. კვლევაში მოცემული რეკომენდაციები დიდწილად გაზიარებულია ამ ანგარიშში. პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა ინდიკატორების ჩამონათვალი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის, შემუშავდა მეთოდოლოგია მათი ნაწილის წარმოებისათვის, ასევე, მოხდა მათი ტესტირება და შედეგები აისახა ბიულეტენებში - Biotrends.

<sup>6</sup> GIZ, Sustainable Management of Biodiversity Project, South Caucasus, ``Options for the Management of Biodiversity and Forestry Data, Georgia, Assessment and Options Report (Final Draft), Prepared by: Mamuka Gvilava, Environmental Consultant, May, 2016

პროექტის მხარდაჭერით შექმნილი იყო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სპეციალური ვებ-გვერდი - <http://www.biomonitoring.moe.gov.ge/>, რომელიც აღარ ფუნქციონირებს. NBMS-ის ფარგლებში მიღებული გამოქვეყნებული შედეგების ნახვა ამჟამად შეიძლება პროგრამის ვებ-გვერდზე <http://biodivers-southcaucasus.org/downloads/>.

დღეისათვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისთან, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების სფეროში თანამშრომლობის თაობაზე. მემორანდუმის ფარგლებში სამინისტრო ახდენს ინფორმაციის წერილობით გამოთხოვას აღნიშნული ორგანიზაციებიდან. მაგალითად, „ელკანას“ მიერ მოწოდებული იქნა ინფორმაცია ბიომეურნეობებით დაფარული ფართობის შესახებ NBMS-ის ერთერთი ინდიკატორის მიხედვით. თუმცა მემორანდუმების გაფორმების აღნიშნულ უწყებებს შორის არ მოუხდენია მნიშვნელოვანი ზეგავლენა ინფორმაციის/მონაცემების გენერირებასა და გაცვლაზე აღნიშნულ უწყებებს შორის.

ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის ეროვნული პასუხისმგებელი პირი, რომელიც ინიშნება მინისტრის ბრძანებით<sup>7</sup>, უშუალოდაა პასუხისმგებელი კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელების კოორდინაციაზე, ასევე კონვენციისადმი ეროვნული მოხსენებების მომზადების ორგანიზებაზე. თუმცა ფორმალურად (მაგალითად მინისტრის იგივე ბრძანებით, რომლითაც ინიშნებიან საერთაშორისო ხელშეკრულებებზე პასუხისმგებელი პირები) ეროვნული პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები განსაზღვრული არ არის.

ასევე, ფორმალურად განსაზღვრული არ არის ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი ეროვნული ანგარიშის მომზადების პროცედურა, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებები, მაგალითად არსებული ინფორმაციის მიწოდების წესი, ფორმა და ვადები ბიომრავალფეროვნების კონვენციის ეროვნული პასუხისმგებელი პირისათვის. არ არის განსაზღვრული არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის კვლევითი დაწესებულებების როლი. ასევე, არ არის დადგენილი ეროვნული ანგარიშების სხვა სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმების, საჯარო განხილვისა და გამოქვეყნების ვალდებულება.

ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი ეროვნული ანგარიშების მომზადების ფინანსური მხარდაჭერა ხდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) სპეციალური პროექტებით, რაც ქვეყნებს საშუალებას აძლევს ეროვნული ანგარიშების მომზადების პროცესში ჩართონ გარე ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები.

---

<sup>7</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 20 ნოემბრის ბრძანება # ი-905 „საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების და საერთაშორისო ორგანიზაციების ეროვნული პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“.



შესაბამისი ადამიანური რესურსების არარსებობის გამო, სამსახურის მიერ არ ხდება კონვენციის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგებისათვის საჭირო ინფორმაციის/მონაცემების რეგულარული შეგროვება, სისტემატიზირება და ანალიზი. მონაცემები/ინფორმაცია გროვდება და ანალიზდება უმეტესწილად ეროვნული ანგარიშების მომზადების პერიოდში, გარე ექსპერტების მიერ. ეროვნულ ანგარიშში აისახება მონაცემების/ინფორმაციის ანალიზის შედეგები, ხოლო საბაზისო მონაცემები/ინფორმაცია არ აკუმულირდება ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის 18.3 მუხლის თანახმად ქვეყნებს აქვთ ვალდებულება შექმნან ინფორმაციის გაცვლის ეროვნული მექანიზმები (National clearing-house mechanisms, CHM), რომელმაც ეფექტური ინფორმაციული სერვისებით უნდა უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელება. CHM-ს არის ინფორმაციის/მონაცემების კვანძი, სადაც თავს იყრის CBD-სა და NBSAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების სფეროში არსებული პოლიტიკის (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირება სხვა სექტორებისა და ტერიტორიული განვითარების გეგმებში), კანონმდებლობის, ინსტიტუტების, პროექტების შესახებ, ფლორისა და ფაუნის სახეობების, ჰაბიტატების, დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზები, სხვა სახის ტექნიკური და სამეცნიერო ინფორმაცია. ეროვნული CHM-ის ბმული და მის მართვაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია თავსდება CBD-ის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები/ინფორმაცია რეკომენდირებულია იყოს ქართულ და ინგლისურენოვანი. საქართველოში ეროვნული CHM შეიქმნა UNDP/GEF პროექტის მხარდაჭერით. მაგრამ, ბიომრავალფეროვნების სამსახურის საქმიანობის სფეროში, რომელიც განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, არ ასახულა CHM-ის მართვაზე პასუხისმგებლობა, ასევე, არ განისაზღვრა კონკრეტული პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, არ მოხდა CHM-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის განახლება, აგრეთვე, მისი ჩართვა საერთაშორისო ქსელში. დღეის მდგომარეობით, ვებ-გვერდი გაუქმებულია.

დღეის მდგომარეობით, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური პასუხისმგებელია CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების ნიმუშების ექსპორტის, იმპორტის, რე-ექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვების გაცემაზე, ასევე გაცემული ნებართვების შესახებ CITES-სათვის ყოველწლიური ანგარიშების წარდგენაზე. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემები იწარმოება და ინახება სამმართველოში CITES-სადმი ყოველწლიური ანგარიშების სახით. ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს ფაქტიური ექსპორტის, იმპორტისა და რეექსპორტის შესახებ ინფორმაციას აწვდის საბაჟო დეპარტამენტი. CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის მონაცემთა ბაზა, აგრეთვე, არის მერქნული რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ერთერთი კომპონენტი. თუმცა, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მონაცემების სრულად შეტანა არ ხდება საბაჟო დეპარტამენტის მიერ, იმის გამო, რომ სისტემის ფორმატი ითხოვს იმპორტიორი კომპანიის რეკვიზიტების ატვირთვასაც,

რაც არის კონფიდენციალური ინფორმაცია. CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემები, ასევე, ხელმისაწვდომია კონვენციის ვებ-გვერდზე. კონვენციის მონაცემთა ბაზასთან შედარება საჭიროა ეროვნულ დონეზე წარმოებული მონაცემების სისწორის დადასტურებისათვის.

„ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაკეტილ სისტემებში გმო-ს გამოყენება საჭიროებს ლიცენზიას, რომელიც გაცივმა გბრდს-ს მიერ. გარდა ამისა, გბრდს ვალდებულია შექმნას ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ერთიან რეესტრს, რომელშიც აღირიცხება ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებული გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ ინფორმაცია. ამ რეესტრის დოკუმენტურ ვერსიასთან ერთად იქმნება ელექტრონული ვერსია, რომელიც სპეციალურ ინტერნეტგვერდზე განთავსდება.

**რეკომენდაციები ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის როლისა და პასუხისმგებლობების თაობაზე:**

- ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი პასუხისმგებელი უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პოლიტიკის განსაზღვრაზე. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემაში ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის როლი, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრავი ერთეულის, უნდა იყოს შემდეგი:
  - ინდიკატორების ჩამონათვალის განსაზღვრა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის, CBD-სადმი ანგარიშგებისათვის და ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისათვის და პერიოდული რევიზია;
  - ინდიკატორების წარმოების მეთოდოლოგიის (მონაცემთა გენერირებისა და ანალიზის მეთოდოლოგიის) შეთანხმება;
  - ინდიკატორის წარმოების შედეგების ინტერპრეტაცია;
  - მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება პოლიტიკის, სტრატეგიის განსაზღვრისა და შემდგომი დაგეგმვისათვის,
  - CBD-სადმი ეროვნული ანგარიშების მომზადების ორგანიზება (საჭიროებისამებრ, ექსპერტებისა და სხვა ორგანიზაციების ჩართვა ეროვნული ამოცანების მიხედვით პროგრესის შეფასებებში), ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება, შეთანხმება ეროვნულ დონეზე და წარდგენა კონვენციის სამდივნოში.
  
- მონაცემთა/ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბების ფარგლებში განხილული უნდა იქნეს შემდეგი მოდელები:
  - i. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი შესაბამისი უწყებებიდან ღებულობს ინდიკატორების მიხედვით დამუშავებულ/გაანალიზებულ მეორად მონაცემებს და ვიზუალიზირებულ შედეგს ტრენდის მაჩვენებელი დიაგრამის ან რუკის

სახით, რომელსაც იყენებს დაგეგმვის, პოლიტიკის/სტრატეგიის განსაზღვრის პროცესში;

- ii. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახურს აქვს წვდომა სხვადასხვა ორგანიზაციებში არსებულ მონაცემთა ბაზებთან და ახდენს მათ ანალიზს ინდიკატორების მიხედვით, მის მიერ ხდება პირველადი მონაცემების ანალიზი, მეორადი მონაცემების გენერირება და მისი ვიზუალიზაცია.

ორივე შემთხვევაში ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახური საჭიროებს შესაძლებლობების გაძლიერებას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მიმართულებით. ეს, პირველ რიგში გულისხმობს, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების დანიშვნას, ასევე, ტრენინგებს ინდიკატორების წარმოებაში. მეორე მოდელის არჩევის შემთხვევაში დამატებით საჭირო იქნება ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის შესაძლებლობების მნიშვნელოვანი გაძლიერება, მათ შორის ადამიანური რესურსების (ცალკეული ინდიკატორების/ინდიკატორთა ჯგუფის მიხედვით მონაცემების ანალიზსა და ინტერპრეტირებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა, ტრენინგები, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვა და პროგრამული უზრუნველყოფა.

- ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს, როგორც CITES-ით გათვალისწინებული ნებართვების გამცემი ორგანოს ფუნქციებს უნდა განეკუთვნებოდეს მონაცემების წარმოება CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ. რეკომენდირებულია, რომ CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობების საერთაშორისო ვაჭრობის მონაცემთა ბაზა ჩამოყალიბდეს, როგორც გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (<https://emoe.gov.ge>) ერთერთი კომპონენტი. უნდა განახლდეს მონაცემთა ბაზის ფორმატი საბაჟო დეპარტამენტთან შეთანხმებით ისე, რომ საბაჟო დეპარტამენტის მიერ შესაძლებელი გახდეს კონვენციით მოთხოვნილი ყველა მონაცემის შეტანა.
- ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველო, როგორც ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეული შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ჩაკეტილ სისტემებში გმო-ს გამოყენებაზე პასუხისმგებელი ორგანო და მასვე დაევალოს ელექტრონული რეესტრის წარმოება გმო-ს ჩაკეტილ სისტემებში გამოყენებაზე. ელექტრონული რეესტრის ფორმატის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის (BCH) მოთხოვნები.

### 3. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემები

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ კანონის თანახმად **დაცული ტერიტორიების სააგენტოს** (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ) ფუნქციაა მოახდინოს მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევის ორგანიზება, დაკვირვების მონაცემების დამუშავება, შენახვა და გავრცელება, რაც ასახულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულებაში<sup>8</sup>, როგორც სააგენტოს ერთ-ერთი ამოცანა. დებულების თანახმად დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის კომპეტენციებში შედის:

- დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბუნებათსარგებლობის მონიტორინგი,
- დაცულ ტერიტორიებში მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის საქმიანობის ზედამხედველობა,
- სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიზნობრივი დამუშავება,
- დაცული ტერიტორიების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (GIS) მონაცემთა ბაზების წარმოება;
- ეკოტურიზმის მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებზე.

„დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპური დებულების“<sup>9</sup> თანახმად ცალკეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ფუნქციებში შედის:

- დაცულ ტერიტორიაზე კანონმდებლობით დაშვებულ საქმიანობათა მონიტორინგი, სამეცნიერო კვლევის ორგანიზება, ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების, არსებული ბუნებრივი ეკოსისტემებისა და გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების აღრიცხვა და მონიტორინგი;
- მუდმივი სანიმუშო ფართობების (სატყეო, ბოტანიკური, გეობოტანიკური, ზოოლოგიური, ორნითოლოგიური და სხვა) მოწყობაში მონაწილეობა და ამ ფართობებზე დაკვირვებების წარმოება;
- ბუნების მატანის შედგენა და სააგენტოში წარდგენა, ასევე ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაცია და ორგანიზაცია.
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობაზე და ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელია დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება.

<sup>8</sup> დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #3 ბრძანებით.

<sup>9</sup> დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #12 ბრძანებით.

ზოგადად, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემები და ინფორმაცია შეიძლება გაიყოს ორ დონედ:

- I. მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა, რათა ეროვნულ დონეზე შეფასდეს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების მდგომარეობა;
- II. ცალკეულ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ინფორმაცია და მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია კონკრეტულად ამ დაცული ტერიტორიის მართვისა და განვითარების დაგეგმვისათვის.

თანდართულ Excel-ის ფაილში მითითებულია მონაცემები, რომლებიც იძლევა ეროვნულ დონეზე დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების შეფასების საშუალებას და მათი არსებობა მნიშვნელოვანია კონვენციისადმი ანგარიშგებისათვის, ასევე, ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში ძირითადად იწარმოება (გენერირდება) და ინახება დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემები. მაგრამ, მონაცემები არ არის ორგანიზებული მონაცემთა ბაზის სახით შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არ არსებობის გამო. მონაცემების ნაწილის სისტემატიზაცია და შენახვა ხდება ცალკეული თანამშრომლების მიერ Excel-ის ფაილში. გარკვეული მონაცემები შესაძლოა ინახოს სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში.

დაცული ტერიტორიების განვითარებისა და დაგეგმვის სამსახური პასუხისმგებელია დაცული ტერიტორიების საზღვრების, ფართობების, ტურისტული ინფრასტრუქტურის GIS მონაცემთა ბაზის წარმოებაზე. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებულია დაცული ტერიტორიების ინტერაქტიული რუკა<sup>10</sup>, თუმცა მასთან დაკავშირებული საინფორმაციო ველები არ არის სრულად შევსებული ან საჭიროებს განახლებას.

დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც გროვდება რეგულარულად, ანალიზდება და ქვეყნდება ანგარიშებში ან სტატისტიკურ პუბლიკაციაში, განისაზღვრება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესით“ არის განსაზღვრული ინდიკატორები და მათი შესაბამისი მონაცემები, თუმცა არ არის მითითებული, რომ მათ რეგულარულ წარმოებაზე პასუხისმგებელია დაცული ტერიტორიების სააგენტო.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლიდან<sup>11</sup> ყოველწლიურად ქვეყნდება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში, რომელშიც ასახულია დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ზოგიერთი მონაცემი, მაგალითად:

1. დაცვის სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა;

<sup>10</sup> [http://mygeorgia.ge/Default.aspx?map=Apa\\_Geoland\\_Physical](http://mygeorgia.ge/Default.aspx?map=Apa_Geoland_Physical)

<sup>11</sup> ასევე გამოქვეყნებულია 2007-2012 წლების ანგარიში, <http://apa.gov.ge/ge/angariSebi>

2. რეინჯერთა ტრენინგები;
3. წლის განმავლობაში გამოვლენილი სამართალდარღვევები და მათი სახეები (უკანონო თევზჭერა, ნადირობა, ნადირობის წესების დარღვევა და ა.შ.) დაცული ტერიტორიების მიხედვით;
4. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა;
5. დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენისა და რეგისტრაციის მდგომარეობა;
6. დაცულ ტერიტორიებზე აღრიცხული ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ჯამური რაოდენობა სახეობების მიხედვით;
7. დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების რაოდენობა წლების მიხედვით;
8. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები და მათში მონაწილეთა რაოდენობა;
9. ვიზიტორთა სტატისტიკა წლებისა და დაცული ტერიტორიების მიხედვით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ 2014 წლის 14 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, სამინისტრო ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აწვდის შემდეგ მონაცემებს, რომლებიც შემდგომ ქვეყნდება ყოველწლიურ პუბლიკაციაში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“:

1. საქართველოს დაცული ტერიტორიების სტრუქტურა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით;
2. საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობები კატეგორიების მიხედვით;
3. საქართველოს დაცულ ტერიტორიებში დაცული ცხოველების რაოდენობა;
4. საქართველოს დაცულ ტერიტორიებში დაცული ფრინველების რაოდენობა;
5. საქართველოს დაცულ ტერიტორიებში დაცული ხე-მცენარეების, ფრინველების, ცხოველების და თევზების სახეობათა რაოდენობა;
6. საქართველოსა და უცხო ქვეყნის ვიზიტორთა რაოდენობა დაცული ტერიტორიებისა და ქვეყნების მიხედვით (ყოველთვიურად);
7. დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები (ყოველთვიურად);
8. დანახარჯები დაცული ტერიტორიების შენახვაზე;
9. დაცულ ტერიტორიებში დასაქმებულთა რაოდენობა.

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს წლიური სამოქმედო გეგმების შესაბამისად (რომელიც შეთანხმებულია სააგენტოსთან) ევალუატი ბუნებრივი ეკოსისტემების და სახეობების მონიტორინგი, რის შედეგებსაც ადმინისტრაციები წლიური ანგარიშების სახით წარუდგენენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს. დაცულ ტერიტორიებში სამეცნიერო კვლევებს და მონიტორინგს ახორციელებენ სხვადასხვა კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტები, რისთვისაც ისინი ვალდებული არიან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი

პირობაა კვლევის შედეგების გადაცემა დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის. ცალკეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები, ასევე, წარადგენენ ბუნების მატრიანებს, თუმცა არასისტემატურად. შესაბამისად, სააგენტოში თავს იყრის, როგორც ადმინისტრაციების, ასევე სხვა ორგანიზაციების/პირების მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები, მაგრამ უმეტესწილად არა მონაცემთა ბაზის სახით. ასევე, ზოგიერთი ინფორმაციის (მაგალითად, ცალკეული სახეობის აღრიცხვის შედეგები) სანდოობის (სამეცნიერო) ხარისხი მცირეა. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ასევე ამზადებენ ყოველწლიურ ბუნების მატრიანებს (თუმცა არასისტემატურად), რომლებიც ხელმისაწვდომია მოთხოვნის საფუძველზე.

დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს KFW-ს საქართველოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროექტი, რომელიც ხორციელდება GFA Consulting -ის მიერ. პროექტი მხარს უჭერს ოთხი დაცული ტერიტორიის (ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის, კინტრიშის და ალგეთის დაცული ტერიტორიების) მართვის გაუმჯობესებას. ჯერჯერობით დაგეგმილია მხოლოდ ადმინისტრაციული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელსაც ექნება ბიომრავალფეროვნების კომპონენტის (სახეობათა მრავალფეროვნება დაცულ ტერიტორიებში).

დაცული ტერიტორიების სტანდარტიზირებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის განვითარება მიმდინარეობს კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერითაც. ამ მიზნით ხორციელდება პილოტური კვლევა ორი დაცული ტერიტორიისათვის (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, რათა მომზადდეს ფონური მონაცემები და შეირჩეს შესაბამისი ინდიკატორები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის. საპილოტე შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით CNF გეგმავს შერჩეულ დაცულ ტერიტორიებში შეთანხმებული ინდიკატორების მიხედვით სავსე მონიტორინგის განხორციელებას.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოებისათვის მონაცემების წყაროს წარმოადგენენ: UNEP-ის მსოფლიოს კონსერვაციის მონიტორინგის ცენტრი (WCMC), რომელიც IUCN-თან ერთად აწარმოებს დაცული ტერიტორიების გლობალურ მონაცემთა ბაზას, ასევე BirdLife International, The Joint Research Centre of the European Commission, GEO BON.

**რეკომენდაციები დაცული ტერიტორიების სააგენტოს როლისა და პასუხისმგებლობების თაობაზე:**

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფუნქციებს მიეკუთვნება და, სამომავლოდაც, უნდა მიეკუთვნებოდეს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ყველა ინდიკატორის მიხედვით მონაცემის წარმოება და, რა თქმა უნდა, ცალკეული დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის გენერირება და ანალიზი.
- დაცული ტერიტორიებით ეკოსისტემების დაფარულობისა და ეკოკორიდორების მონაცემთა ბაზების წარმოება, ინფრასტრუქტურის განვითარების გამო ფრაგმენტაციის საფრთხის წინაშე მყოფი დაცულ ტერიტორიებთან

დაკავშირებით მონაცემების წარმოებისათვის საჭიროა შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და მიღება:

- დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემების, ასევე, დაცული ტერიტორიებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგად გენერირებული მონაცემების (როგორცაა, მაგალითად, სახეობების გავრცელება და რიცხოვნება, ჰაბიტატები) შენახვის, ანალიზის, ვიზუალიზაციისათვის საჭიროა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის შემუშავება, ასევე, ამ პროგრამაში მონაცემთა შეყვანაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და მათი ტრენინგი.
- დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზა რეკომენდირებულია, იყოს ავტონომიური და უზრუნველყოფილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამით, რეკომენდირებულია შიდა ქსელის განვითარება, რომელიც მოემსახურება ყველა დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას და დაცული ტერიტორიების სააგენტოს და რომელიც, თავის მხრივ დაკავშირებული იქნება მონაცემთა მართვის ერთიან სისტემასთან და სხვა უწყებების (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს) სისტემებთან. დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის წარმოებისა და მონაცემების ანალიზის მეთოდები უნდა შემუშავდეს WWF-Caucasus-თან თანამშრომლობით, რადგან ამ ინდიკატორებისა და მონაცემების დიდი ნაწილი იწარმოება კავკასიის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ქსელის ფარგლებშიც.
- დაცული ტერიტორიების სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე (განსაკუთრებით, UNEP-WCMC-IUCN), რომლებიც მართავენ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ გლობალურ მონაცემთა ბაზებს, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები/სისტემა, უნდა განვითარდეს ისე, რომ იყოს თავსებადი გლობალურ ბაზებთან.
- უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული დაცული ტერიტორიების ინტერაქტიული რუკასთან დაკავშირებული მონაცემებისა და ინფორმაციის შევსება და განახლება. ამავე რუკასთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზაში შესაძლოა შეტანილი იქნეს ცალკეული დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიმდინარე მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები.

#### **4. ტყის ეკოსისტემებთან და ტყის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები**

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად ტყის მართვას, მათ შორის, ტყის აღრიცხვის სისტემის ორგანიზებასა და მონიტორინგს ახორციელებენ გარემოსა და ბუნებრივი



რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ **ეროვნული სატყეო სააგენტო**, **დაცული ტერიტორიების სააგენტო** და **სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო** და მათ უფლებამოსილებას განეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის ორგანიზება, ტყის მონიტორინგისა და სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოების წესის დადგენა.

„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>12</sup> **ეროვნული სატყეო სააგენტოს** უფლებამოსილებების სფეროს განეკუთვნება ტყის ფონდის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნა.

ტყის კოდექსის თანახმად სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა მოიცავს:

ა) ტყეების მდგომარეობის, მათი სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენას, რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას;

ბ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და იშვიათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეების გამოვლენას;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ბიოლოგიურ, პათოლოგიურ და სხვა გამოკვლევებს.

აღნიშნული განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ტყის კოდექსის თანახმად ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო ასევე პასუხისმგებელი არიან ტყის ფონდის მონიტორინგზე, რომლის საფუძველზეც მიღებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. ტყის კოდექსის თანახმად მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ეკისრება ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელებსაც.

აღნიშნული კანონებით განსაზღვრული მოვალეობები ასახულია ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულებაში<sup>13</sup>, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულებაში. სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების<sup>14</sup> თანახმად სააგენტოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს ტყის ფონდის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნა, ასევე ტყის ფონდის აღრიცხვა და დაგეგმვა.

სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის წესი განისაზღვრება „**ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესით**“, (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივლისის #179 დადგენილებით) რომელშიც მოცემულია დეტალური მითითებები ტყის რესურსების აღრიცხვისათვის. დებულებაში მოცემული მეთოდით აღრიცხვის მიზანია ტყითსარგებლობის დაგეგმვა. აღნიშნული წესით, ასევე, განსაზღვრულია ტყის მონიტორინგის არსი, მიზანი, ზოგადი მეთოდები, მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო (მართვის ორგანო - ეროვნული სატყეო სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო), დაფინანსების წყარო.

<sup>12</sup> ამ კანონით წესრიგდება ტყის ფონდის მართავსთან დაკავშირებული საკითხები, რასაც ახორციელებს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

<sup>13</sup> დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #25 ბრძანებით

<sup>14</sup> დამტკიცებულია ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის #55 დადგენილებით

„ტყის კოდექსის“ თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყით სარგებლობასთან, ხე-ტყის მოძრაობასთან და პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით იქმნება მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის წარმოების ინსტრუქციაც, თავის მხრივ, დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით (#118, 30.04.2014). მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემას აწარმოებენ ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო.

„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ კანონის თანახმად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო პასუხისმგებელია ტყის ფონდის მონიტორინგსა და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნაზე. სააგენტო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები. აღნიშნულის საფუძველზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების თანახმად (დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის #25 ბრძანებით) ეროვნული სატყეო სააგენტოს ფუნქციებს განეკუთვნება ელექტრონული საინფორმაციო სისტემის შემუშავების ორგანიზება, მერქნულ რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარებისათვის, ასევე ახალი პროგრამული მოდულების შემუშავებისა და/ან ცვლილების შეტანისათვის წინადადებების მომზადება და ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებში მომხმარებელთა დაშვებების უზრუნველყოფა ინფორმაციასთან წვდომის იერარქიული დონეების გათვალისწინებით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურული ერთეული - ტყის აღრიცხვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ტყის ფონდის მონიტორინგისა და აღრიცხვის ორგანიზებაზე, ასევე, ტყის ფონდთან დაკავშირებულ გეოინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების ორგანიზებაზე.

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიმდინარე წლის ბოლომდე ექნება „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად მომზადებული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის დაახლოებით 10%-სათვის. ტყის აღრიცხვისათვის გამოიყენება მაღალი რეზოლუციის სატელიტური იმიჯები ან აეროფოტოგადაღებები, რომლებიც საკმაოდ ძვირადღირებულია და ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ გააჩნია შესაბამისი რესურსები მათ შესამენად. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ გააჩნია ინფორმაცია ტყით დაფარული ფართობის ცვლილების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მოთხოვნის შესაბამისად, სააგენტოს შეუძლია მოამზადოს ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობის ცვლილების შესახებ, რაც დაეყრდნობა სახელმწიფო ტყის ფონდიდან ტერიტორიების ამორიცხვის შესახებ ან სახელმწიფო ტყის ფონდში ტერიტორიების შეტანის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

აღსანიშნავია, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ფარგლებში შეფასდა ტყით დაფარული ფართობი 2001-2008 წლების სატელიტური სურათების საფუძველზე. GIZ-ის პროგრამის „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ დახმარებით ამჟამად მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაციისა და საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს მუდმივად განახლებადი ინფორმაციის გენერირებას ტყით დაფარული ფართობების შესახებ.

ეროვნული სატყეო სააგენტო აწარმოებს მერქნულ რესურსების მართვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზას<sup>15</sup>. ბაზაში მერქნული რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული მონაცემები შეაქვს ეროვნულ სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს(ტყეკაფის რეგისტრაცია, ინფორმაცია ტყეკაფის გამოყოფის, გახსნის, დახურვის, გაუქმების თაობაზე, გამოწერილი ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები და სხვა.) ასევე ხე-ტყით მოსარგებლებებს. მონაცემთა ბაზა განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ მონაცემთა შეყვანა ხდება ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების, ლიცენზიების მფლობელების, სახერხი საამქროების მფლობელების, ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტს აქვს მონაცემები წლების მიხედვით ტყის აღდგენილი/გაშენებული ფართობების შესახებ, ასევე, მავნებლებით დაზიანებული ფართობების შესახებ. მონაცემები ტყეების აღდგენის შესახებ ასევე ქვეყნდება სტატისტიკის ყოველწლიურ პუბლიკაციებში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ 2014 წლის 14 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ტყეებთან დაკავშირებით, სამინისტრო ყოველწლიურად სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აწვდის შემდეგ მონაცემებს, რომლებიც შემდგომ ქვეყნდება ყოველწლიურ პუბლიკაციაში „საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა“:

1. საქართველოს ტყის ფონდი საკუთრების ფორმების მიხედვით;
2. ტყით დაფარული ფართობი და მერქნის მარაგი;
3. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა;
4. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საოპერაციო დანახარჯები;
5. ტყის ხანძარი;
6. ტყის აღდგენა და გაშენება;
7. ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა;
8. ტყის უკანონო ჭრა;
9. ტყით დაფარული ფართობი და მერქნის მარაგი გაბატონებული სახეობების მიხედვით;
10. ტყით დაფარული ფართობის განაწილება მერქნიანი სახეობების და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით;
11. მერქნის მარაგი გაბატონებული მაგარმერქნიანი სახეობების და ხნოვანების ჯგუფების მიხედვით;
12. ტყის მოვლა.

IBiS /GIZ-ის დახმარებით ამჟამად მუშავდება ტყის მონიტორინგის ეროვნული სისტემის (NFMS) დიზაინი. ტყით დაფარული ფართობის განსაზღვრა მოხდება სატელიტური იმიჯების დემიფირირებით, რაშიც ეროვნულ სატყეო სააგენტოს დახმარებას უწევს IBiS /

---

<sup>15</sup> მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქცია დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის #118 ბრძანებით

GIZ. ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის დიზაინის დასრულების შემდგომ მომხდება ტყეებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოების მეთოდოლოგიების გადახედვა.

**რეკომენდაციები ეროვნული სატყეო სააგენტოს როლისა და პასუხისმგებლობების თაობაზე:**

- რეკომენდირებულია მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის გაფართოება, სივრცული მონაცემთა ბაზის შექმნა GIS ფორმატში და მასში ტყეებთან დაკავშირებული ყველა მონაცემის ინტეგრირება, მათ შორის ისეთი მონაცემების, როგორცაა მავნებელ-დაავადებებით დაზიანებული ფართობები, ტყის ხანძრები და სხვა. ამავე მონაცემთა ბაზაში უნდა ხდებოდეს მონაცემთა თავმოყრა არალეგალური ჭრების შესახებ, როგორც ეროვნული სატყეო სააგენტოს, ასევე, დაცული ტერიტორიების, აჭარის სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის მიერ.
- ტყეებთან დაკავშირებული მონაცემების გენერირებისა და მონაცემთა სისტემაში მათი შეყვანის თაობაზე მოვალეობები უნდა იქნეს ასახული ტყის მართვის ორგანოების დებულებებში, ხოლო მეორე მხრივ, ნორმატიულ აქტში, რომლითაც დამტკიცდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების წესი;
- ტყეებთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემა (მონაცემთა ბაზა), რეკომენდირებულია იყოს ავტონომიური და ძირითადად ფოკუსირებული ტყითსარგებლობაზე, რეკომენდირებულია იმართებოდეს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, ამასთან დაკავშირებული უნდა იყოს მონაცემთა მართვის ერთიან სისტემასთან და სხვა უწყებების (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს) სისტემებთან.
- ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის განახლებული მეთოდის მიხედვით (რომელიც ამჟამად მუშავდება GIZ-ის დამხარებით) უნდა მოხდეს ცვლილებების შეტანა ამჟამად მოქმედ „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესში“. ხოლო ახალი „ტყის კოდექსის“ მიღების შემდგომ „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემასა და წესში“, რომლის მიღებაც გათვალისწინებულია ახალი „ტყის კოდექსით“.
- ტყის ინვენტარიზაციის ქმედებებები უნდა იყოს კოორდინირებული ეროვნულ სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიებისა სააგენტოსა და აჭარის სატყეო სააგენტოს შორის.
- ეროვნულ და გლობალურ დონეებზე ტყეებთან დაკავშირებული მონაცემების უნიფიცირების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე (განსაკუთრებით, FAO, GEO BON), რომლებიც წარმოადგენენ წყაროს CBD-ის ფარგლებში ტყეებთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოებისათვის.

## 5. სახეობებთან და ჰაბიტატებთან დაკავშირებული მონაცემები

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996) საქართველოს კანონის თანახმად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილებას წარმოადგენს ცხოველთა სამყაროს დაცვის მონიტორინგისა და სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დადგენა და წარმოება. ამავ კანონის მე-60 მუხლის თანახმად ცხოველთა სამყაროს მონიტორინგის (მდგომარეობაზე დაკვირვებისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის ერთიანი სისტემის) სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა, დღემდე შესაბამისი სამართლებრივი აქტი არ შემუშავებულა.

„წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი ეხება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების აღრიცხვას და მონიტორინგს, მაგრამ იძლევა მხოლოდ ზოგად მითითებებს ამ მიმართულებით, არ განსაზღვრავს კონკრეტულ ვალდებულებებს, ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, გადაცემის წესებს.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის მკაფიოდ განსაზღვრული (ისე, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობების შემთხვევაში) ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების გამოვლენისა და მონიტორინგის ვალდებულებები, როგორცაა მაგალითად, ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები.

„ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონპროექტის თანახმად მონიტორინგისათვის პრიორიტეტული სახეობები უნდა იყოს მკაცრად დაცული და დაცული სახეობები, რომელთა ნუსხა დამტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

დღეის მდგომარეობით NBMS-ის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით, შერჩეულია გადაშენების პირას მყოფ და ეკონომიკური ღირებულების მქონე ცხოველთა 32 და მცენარეთა 23 სახეობა. თუმცა შესაძლოა მოხდეს შერცეული სახეობების ჩამონათვალის განახლება. IBIS/GIZ მხარდაჭერით შემუშავებულია მეთოდოლოგია და ჩატარებულია საბაზისო კვლევა მცენარეთა 5 შერჩეული სახეობის პოპულაციის მონიტორინგისათვის. მონაცემები ინახება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ.

მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რიცხოვნებისა და გავრცელების (მათ შორის გადაშენების პირას მყოფი სახეობების) მონაცემთა ბაზის წარმოება, ცხადია, სცილდება სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობებს. 2012-2014 წლებში გბრდს-მ რამდენიმე სახეობის აღრიცხვები და მონიტორინგი დაუკვეთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ველზე მომუშავე მეცნიერთა კავშირს CAMPESTER. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2005 წლიდან მიმდინარეობს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <http://www.biodiversity-georgia.net>. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული სახეობების შესახებ, მათი აღწერა, გავრცელება, ბიბლიოგრაფია, სურათები და გავრცელების რუკები, ასევე სტატუსები IUCN-ის კატეგორიების მიხედვით. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს აღნიშნული მონაცემთა ბაზის შემდგომი განვითარება და შევსება მონიტორინგისა და კვლევების შედეგების მიხედვით. NBMS-ის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგებიც მიზანშეწონილია განთავსდეს აღნიშნულ ვებ-გვერდზე.

სახეობების ბიომრავალფეროვნების შესახებ ინტერნეტით ხელმისაწვდომია, აგრეთვე, შემდეგი ინფორმაცია:

აჭარის ფაუნის რეესტრი (<http://faunageorgia.org/index.php?pageid=5&lang=Geo>; <http://faunageorgia.org/index.php?pageid=5&lang=Eng>), იწარმოება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის მიერ;

მცირე ძუძუმწოვრების მონაცემთა ბაზა

(<http://www.campester.org/index.php?name=database&lang=eng>; იწარმოება

არასამთავრობო ორგანიზაცია ველზე მკვლევართა კავშირის CAMPESTER მიერ.

გადამფრენი მტაცებელი ფრინველები

<http://www.batumiraptorcount.org>, იწარმოება ბუნების კონსერვაციის საზოგადოების SABUKO მიერ.

სხვადასხვა მკვლევარები აწარმოებენ ფაუნის სხვადასხვა ჯგუფების მონაცემთა ბაზებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტის საშუალებით, მათ შორის ხელფრთიანების, ფრინველების, თევზების, გასტროპოდების.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ფლობს მწერების (ძირითადად პეპლების) და იქტიოფაუნის მონაცემთა ბაზებს.

მცენარეთა სახეობების მონაცემთა ბაზები იწარმოება ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „ორქისის“ მიერ.

დღეის მდგომარეობით ზურმუხტის ადგილები ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები საქართველოში ოფიციალურად დაარსებული არ არის. შერჩეულია 27 პრიორიტეტული ჰაბიტატი მათზე მოქმედი საფრთხეების და თვით ამ ჰაბიტატების მოწყვლადობის კრიტერიუმის მიხედვით. თუმცა, ამ და სხვა პოტენციურად მნიშვნელოვანი ჰაბიტატების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია და აუცილებელია დეტალური კვლევის ჩატარება. არ არის მომზადებული პრიორიტეტული ჰაბიტატების რუკები.

ამჟამად მიმდინარეობს სამართლებრივი ბაზის შექმნა საქართველოში ზურმუხტის ქსელის ადგილების დაარსებისათვის. შესაძლოა განხილული იქნეს ზურმუხტის ადგილებისა და ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების მონაცემთა ბაზების მართვის ფუნქციის დელეგირება კვლევით ან არასამთავრობო ორგანიზაციებზე. მაგალითად, ნაკრესს შესაძლოა დაევალოს ზურმუხტის ადგილების მონაცემთა ბაზის წარმოება. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი ჩართული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ადგილების მონიტორინგსა და მონაცემთა ბაზის წარმოებაში.

ზურმუხტის ქსელის საიტების მონაცემთა ბაზა შეიქმნა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის NACRES-ის მიერ, რომელიც არის პროექტის „ზურმუხტის ქსელის განვითარება საქართველოში“ ტექნიკური განმახორციელებელი<sup>16</sup>. ჯერჯერობით მონაცემთა ბაზა არ არის ხელმისაწვდომი და მიმდინარეობს მისი განახლება-შევსება. მას შემდეგ, რაც საქართველოში იდენტიფიცირებული ადგილები ოფიციალურად ჩაერთვება ზურმუხტის ქსელში, მონაცემთა ბაზა გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

NACRES ასევე აწარმოებს ადამიანი-მტაცებელი კონფლიქტების მონაცემთა ბაზას ვაშლოვანში. ორგანიზაციის ეს გამოცდულება შესაძლოა გამოყენებული იქნეს

<sup>16</sup> <http://lv-twk.oekosys.tu-berlin.de//project/twinning/documents/pdfs/EUNIS/emerald.pdf>  
<http://pjp-eu.coe.int/documents/1461016/3529611/Georgia.pdf/607b06f2-7474-4620-95bd-feeb626e00b3>  
[http://pjp-eu.coe.int/documents/1461016/4159207/Report\\_2013\\_Emerald\\_developments\\_NACRES.pdf/d0ded329-fcdd-49a2-aac5-46db6fe3cf60](http://pjp-eu.coe.int/documents/1461016/4159207/Report_2013_Emerald_developments_NACRES.pdf/d0ded329-fcdd-49a2-aac5-46db6fe3cf60)

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახური მიერ, რომელიც ამჟამად ცდილობს ანალოგიური მონაცემთა ბაზის განვითარებას.

დაცული ტერიტორიების სააგენტო აწარმოებს დაცულ ტერიტორიებში 21 სახეობის ძუძუმწოვარისა და 24 სახეობის ფრინველის აღრიცხვებს, მონაცემებს მათი რიცხოვნების შესახებ ყოველწლიურად წარუდგენს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, რომელიც თავის მხრივ მონაცემებს აქვეყნებს ყოველწლიურ სტატისტიკურ პუბლიკაციაში. თუმცა, აღრიცხვები არ წარმოებს ერთიანი მეთოდოლოგიითა და სისტემატურობით ყველა დაცულ ტერიტორიაში, რის გამოც მათი სანდოობა დაბალია. გასაახლებელია სახეობების ნუსხა, რომელთა აღრიცხვებიც წარმოებს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მიერ. მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსები მიმართული უნდა იყოს გადაშენების პირას მყოფი ან ენდემური სახეობების აღრიცხვებზე და ნაკლებად ფართოდ გავრცელებულ სახეობებზე.

### **ინვაზიური სახეობები**

NBMS-ის ფარგლებში მომზადებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნებისათვის ყველაზე საშიში 50 ინვაზიური მცენარეთა სახეობის ნუსხა, განხორციელდა ყველა ხელმისაწვდომი მონაცემის გეორეფერენსირება და მომზადდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შერჩეული ინვაზიური სახეობების გავრცელების არელების ამსახველი რუკები. მონაცემები ჯერჯერობით ხელმისაწვდომია IBiS / GIZ განმახორციელებლ ერთეულში. ინდიკატორის წარმოების მეთოდოლოგია შემუშავდა და საბაზისო კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბოტანიკის ინსტიტუტის** მიერ. ასევე, შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით მომდევნო წლებში მონაცემთა მოპოვებისათვის ტრენინგი ჩაუტარდათ 5 დაცული ტერიტორიის თანამშრომლებს. იგულისხმება, რომ მომდევნო წლებში მათ მიერ უნდა იქნეს მოპოვებული შესაბამისი მონაცემები.

ცხოველთა ინვაზიური სახეობების რიცხოვნებისა და გავრცელების შესახებ მონაცემთა ბაზა არ არსებობს. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ინდიკატორის წარმოების მეთოდოლოგია და განხორციელდეს საბაზისო კვლევა.

### **რეკომენდაციები სახეობებისა და ჰაბიტატების დაკავშირებული**

#### **მონაცემების/ინფორმაციის მართვის თაობაზე**

- „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ არსებული კანონის პროექტის მიღებით სამართლებრივი საფუძვლის შექმნა პრიორიტეტული სახეობებისა და ჰაბიტატების მონიტორინგისა და შესაბამისი მონაცემების წარმოებაზე;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი უნდა განისაზღვროს, როგორც სახეობებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეის მდგომარეობით ფლობს სახეობების შესახებ საუკეთესო მონაცემთა ბაზას, ინფრასტრუქტურას მონაცემთა შეგროვებისათვის კვლევითი ინსტიტუტების (ზოოლოგიის, ბოტანიკისა და ეკოლოგიის) ქსელის სახით და მკვლევარების ქსელს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციად უნდა განისაზღვროს, ასევე, საქართველოს სახეობების შესახებ მონაცემთა ბაზის საერთაშორისო ქსელებთან დაკავშირებისა და საერთაშორისო ქსელებში საქართველოს შესახებ მონაცემების ასახვის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია. ილიას უნივერსიტეტისათვის აღნიშნული ფუნქციის დავალება უნდა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი

აქტივით, რომლითაც ასევე, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

- სახეობების მონიტორინგის შედეგები დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ასევე ასახული უნდა იქნეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზაში.
- განხილული უნდა იქნეს სხვა ორგანიზაციების (როგორცაა „ორქისი“, CAMPESTER) მონაცემთა ბაზების ინტეგრირების შესაძლებლობა ილიას უნივერსიტეტის საქართველოს ბიომრავალფეროვნების ბაზაში. აღნიშნული საჭიროებს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველის შექმნას.
- რეკომენდირებულია, რომ გბრდს-ს მიერ გაგრძელდეს შერჩეული სახეობების მონიტორინგის პროგრამის მხარდაჭერა და უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის მიღება შერჩეული სახეობების პოპულაციების დინამიკის შესახებ საქართველოში.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მის შემადგენლობაში შემავალი ზოოლოგისა და ბოტანიკის ინსტიტუტების პასუხისმგებლობა უნდა იყოს მცენარეთა და ცხოველთა ინვაზიური სახეობების რიცხოვნებისა და გავრცელების მონაცემთა ბაზის წარმოება. უნდა მოხდეს ცხოველთა ინვაზიური სახეობების შერჩევა, მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება და მიღება. ზოოლოგიის ინსტიტუტს შესაძლოა დაევალოს ცხოველთა ინვაზიური სახეობების მონიტორინგი. გარემოს ეროვნული სააგენტო შესაძლოა იყოს პასუხისმგებელი თევზების ინვაზიური სახეობების მონიტორინგზე. რეკომენდირებულია ინვაზიური სახეობების GIS მონაცემთა ბაზის განვითარება, რომელშიც მონაცემები შეტანილი იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, გარემოს ეროვნული სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. უნიფიცირებული მეთოდოლოგიით, დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ინვაზიური სახეობების მონიტორინგი, შესაძლოა განხორციელდეს რეინჯერების მიერ, რაც საჭიროებს მათ შესაძლებლობების გაძლიერებას. ინვაზიური სახეობების მონიტორინგის ფუნქცია ასახული უნდა იქნეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულებაში და შერჩეული დაცული ტერიტორიების წლიურ სამოქმედო გეგმებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის და გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ინვაზიური სახეობების მონიტორინგისა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის დავალება უნდა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე, რითაც ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსების მიწოდება.
- ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველო, როგორც ბერნის კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ჩართული უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებისათვის საკვანძო ადგილების (როგორცაა ზურმუხტის ადგილები, ან ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები, ასევე პრიორიტეტული ჰაბიტატები) მონაცემთა ბაზის წარმოებაში. განხილული უნდა



იქნეს ბიომრავალფეროვნებისათვის მნიშვნელოვანი ადგილების მონაცემთა ბაზის მართვის ფუნქციის დელეგირება კვლევით ან არასამთავრობო ორგანიზაციებზე. მაგალითად, სახეობათა კონსერვაციის ცენტრს „ნაკრეს“ შესაძლოა დაევალოს ზურმუხტის ადგილების მონაცემთა ბაზის წარმოება, როგორც ორგანიზაციას, ვის მიერაც მზადდება კანდიდატი ზურმუხტის ადგილების GIS მონაცემთა ბაზა. აღნიშნული საჭიროებს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტის მიღებას.

## 6. ნადირობასა და თევზჭერასთან დაკავშირებული მონაცემები

დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #27 ბრძანებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის **გარემოს ეროვნული სააგენტოს** სტრუქტურული ერთეულის **მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის** ფუნქციებია შავი ზღვის სანაპირო ზოლის, სანაპირო ზონისა და შიდა წყალსატევებში ჰიდრობიოლოგიური კვლევების წარმოება, საჭიროების შემთხვევაში სააუქციონო წყლის ობიექტში თევზის რესურსის მარაგის დადგენა, ასევე საქართველოს ჭარბტენიანი და წყალჭაობიანი სავარგულების მონიტორინგი.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურში ინახება მონაცემები შავ ზღვაში თევზჭერისათვის დაშვებული თევზის სახეობების ჭერის ზედა ლიმიტების (კვოტა) შესახებ თევზჭერის სეზონებისა და სახეობების მიხედვით. თევზჭერის კვოტები მტკიცდება და ლიცენზიანტებს შორის ნაწილდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნული ინფორმაცია ინახება სააგენტოს უფროსის ბრძანებების სახით. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ფლობს ინფორმაციას თევზჭერის სეზონებისა და სახეობების მიხედვით ფაქტიური ჭერების შესახებ. აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეფასება განხორციელებულია NBMS-ის ფარგლებში 2013 და 2014 წლებში. გაემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ასევე აწარმოებს მონაცემებს წლების მიხედვით უკანონო თევზჭერის გამოვლენილი ფაქტების მიხედვით.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის მიერ ახლახან დასრულდა კვლევა საქართველოს 61 წყალსატევში იქტიოფაუნის მდგომარეობის შეფასებისათვის. შედეგები გამოქვეყნებული არ არის.

გარემოს ეროვნულ სააგენტოში ინახება ინფორმაცია ლიცენზირებულ შიდა წყალსატევებში თევზჭერისათვის დაშვებული თევზის რესურსების მარაგებისა და კვოტების შესახებ, ხოლო ფაქტიური ჭერების შესახებ ინფორმაცია (ლიცენზიანტების მიერ წარდგენილი ანგარიშების სახით) ინახება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

გარემოს ეროვნული სააგენტოში, როგორც სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გამცემი ორგანოში, ინახება ინფორმაცია სამონადირეო მეურნეობების შესახებ, ასევე, სანადირო სეზონებისა და სამონადირეო მეურნეობების მიხედვით სანადირო სახეობების კვოტების შესახებ. სამონადირეო მეურნეობებში ფაქტიურად მოპოვებული ინდივიდების რაოდენობების შესახებ ინფორმაცია შეიძლება ინახოს

ლიცენზიანტების წლიურ ანგარიშებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, რომელსაც ასევე, აქვს მონაცემები უკანონო ნადირობის შესახებ.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობასთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ ერთი მონაცემი - პირთა რაოდენობა, რომელმაც გადაიხადა მოსაკრებელი გადამფრენ ფრინველებზე ნადირობისათვის. ნადირობის სეზონის განმავლობაში მოპოვებული ოდენობების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა თევზჭერასა და ნადირობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის წარმოებისათვის არ არსებობს.

NBMS-ის ფარგლებში ამჟამად იწყება წყალჭარბი ტერიტორიების ინვენტარიზაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ნადირობის შესახებ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც გვთავაზობს მნიშვნელოვან ცვლილებებს ნადირობის მართვის სფეროში. კანონპროექტის თანახმად, სამონადირეო ტერიტორიის მმართველი ვალდებული იქნება ყოველწლიურად განახორციელოს სამონადირეო სახეობების მონიტორინგი, ასევე აწარმოოს შიდა სააღრიცხვო ჟურნალი სამონადირეო ტერიტორიაზე რესურსებით სარგებლობის თაობაზე. სამონადირეო სახეობების დამოუკიდებელი მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს გბრდს-ს, სამეცნიერო ინსტიტუტების ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ. კანონპროექტის თანახმად, სანადირო სახეობების მონიტორინგის მეთოდიკა უნდა დამტკიცდეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით.

***რეკომენდაციები ნადირობასა და თევზჭერასთან დაკავშირებული მონაცემების წარმოებასთან დაკავშირებით***

- რეკომენდირებულია შეიქმნას თევზის რესურსებისა და თევზჭერის, ასევე ნადირობის მონაცემთა ბაზები, რომელშიც შეტანილი იქნება მონაცემები შიდა წყალსატევებში იქტიოფაუნის მდგომარეობის შესახებ (რომელთა მიღებაც ხდება საველე კვლევების საფუძველზე), თევზჭერისათვის გაცემული ლიცენზიების, თევზჭერის ლიმიტებისა და ფაქტიური ჭერების შესახებ, მართვის გეგმები, ინფორმაცია დათევზიანების შესახებ, სანადირო სახეობების პოპულაციების მდგომარეობისა და ფაქტიური ნადირობის შესახებ. რეკომენდირებულია მონაცემთა ბაზის შექმნა GIS ფორმატში. აღნიშნული მონაცემთა ბაზები რეკომენდირებულია იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ერთიანი სისტემის კომპონენტები.
- თევზის რესურსებისა და თევზჭერის მონაცემთა ბაზის, ასევე ნადირობის მონაცემთა ბაზის წარმოება მიზანშეწონილია იყოს **გარემოს ეროვნული სააგენტოს** პასუხისმგებლობა, რაც შესაბამისი ფუნქციის სახით უნდა აისახოს გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულებაში. მიზანშეწონილია, გარემოს ეროვნულ სააგენტოში მონაცემთა ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.
- **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** პასუხისმგებელი უნდა იყოს თევზის რესურსებისა და თევზჭერის მონაცემთა ბაზაში ფაქტიურად მოპოვებული რესურსების შესახებ და უკანონო თევზჭერის შესახებ მონაცემების შეტანაზე, ასევე, ფაქტიური ნადირობისა და უკანონო ნადირობის შესახებ მონაცემთა შეტანაზე ან ლიცენზიანტებისა და სხვა რესურსთმოსარგებლების

მიერ მონაცემების შეტანის კონტროლზე. აღნიშნული შესაბამისი ფუნქციის სახით უნდა აისახოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულებაში.

- განხილული უნდა იქნეს თევზის რესურსებისა და თევზჭერის მონაცემთა ბაზაში, ფაქტიური თევზჭერის შესახებ მონაცემების შეყვანის ვალდებულების დაკისრება თევზჭერის ლიცენზიანტებზე (მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ანალოგიურად), რაც შესაძლოა განისაზღვროს, როგორც სალიცენზიო პირობა, ან შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილება „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკურ რეგლამენტში“ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #423 დადგენილებით) (სარეწაო ჟურნალების წარმოების ვალდებულების ანალოგიურად ან სარეწაო ჟურნალების წარმოება მოხდეს ელექტრონული სახით).
- განხილული უნდა იქნეს თევზის რესურსებისა და თევზჭერის მონაცემთა ბაზაში შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერის, პალიასტომის ტბაში თევზჭერის, სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის და სამოყვარულო და სპორტული მიზნით თევზჭერის მონაცემების შეტანის საკითხი. აღნიშნულ ადგილებსა და მიზნებით თევზჭერა არ საჭიროებს ლიცენზიას. რეკომენდირებულია შესაბამისი ვალდებულების ასახვა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკურ რეგლამენტში“.
- განხილული უნდა იქნეს ნადირობის შესახებ მონაცემთა ბაზაში ფაქტიური ნადირობის შესახებ მონაცემთა შეყვანის ვალდებულების დაკისრება სამონადირეო მეურნეობების ლიცენზიანტებისთვის. შესაბამისი ვალდებულება ასახული უნდა იქნეს სალიცენზიო პირობაში, ასევე, ეს ვალდებულება შესაძლოა განისაზღვროს დებულებით „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ“ (დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის #95 ბრძანებით); ამავე დებულებით შესაძლოა განისაზღვროს მონადირეთა ვალდებულება გადამფრენ ფრინველებზე ფაქტიური ნადირობის შესახებ მონაცემების ასახვაზე ბაზაში.
- „ნადირობის შესახებ“ კანონის პროექტში რეკომენდირებულია ასახული იქნეს დებულებები ნადირობის შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნასა და წარმოებაზე, ასევე, განისაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებლობები.

## 7. აგრობიომრავალფეროვნებისა და სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული მონაცემები

დღეისათვის არ იწარმოება მონაცემთა ბაზა ბიომეურნეობების პრინციპების შესაბამისად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების შესახებ. NBMS-ის ფარგლებში ინფორმაციის წყაროდ ინდიკატორის წარმოებისათვის გამოყენებული იქნა

ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) ყოველწლიური ანგარიშები (აღნიშნული ორგანიზაციისათვის, თავის მხრივ, ინფორმაციის წყარო არის ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“) და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მონაცემები. ბიოწარმოებისა და ბიომეურნეობების სერტიფიცირება საქართველოში ნებაყოფლობითია და ხორციელდება ბიზნესოპერატორის ინიციატივით. ბიომეურნეობების სერტიფიცირებას ახორციელებს შპს „კავკასსერტი“, IMO, შესაძლებელია, რომ ბიომეურნეობამ სერტიფიცირება გაიაროს სხვა სასერტიფიკაციო ორგანოში. არ არსებობს ბიომეურნეობების რეესტრი. შესაბამისად, ვერ ხდება სრულყოფილი მონაცემების მიღება ბიომეურნეობების ფართობის შესახებ.

დებულების თანახმად<sup>17</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ფუნქციებს განეკუთვნება ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, თუმცა აღნიშნული ცენტრი არ აწარმოებს მონაცემთა ბაზას ბიომეურნეობების შესახებ. „ელკანა“ მონაცემებს იღებს შპს „კავკასსერტიდან“, ასევე, აქვს მონაცემები ასოციაციის წევრი მეურნეობების შესახებ, თუმცა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა ბიომეურნეობა იყოს სერტიფიცირებული სხვა სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ, რის შესახებაც „ელკანას“ არ გააჩნია ინფორმაცია.

დებულების თანახმად, სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ფუნქციებს განეკუთვნება ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდის აღწერა, გენეტიკური და საინფორმაციო ბანკების შექმნა; მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის დაცვა, რეგისტრირებულ ჯიშთა რეესტრის წარმოება. დღეის მდგომარეობით არ იწარმოება მონაცემები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეთა კულტურული ჯიშების შესახებ, რომლებიც გამოიყენებიან სოფლის მეურნეობაში.

აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მონაცემია საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების რაოდენობა, რომლებიც დაცულია საშუალო ან გრძელვადიან გენბანკებში. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გენბანკი, რომელიც დაარსდა 2004 წელს მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევების საერთაშორისო ცენტრის (ICARDA) მხარდაჭერით. ამჟამად ის არის საქართველოში მინდვრის კულტურების გენეტიკური რესურსების შესწავლის ერთადერთი ცენტრი, სადაც მინდვრისა და ბოსტნეული კულტურები ადგილობრივი გენეტიკური მასალების დაცვის, შეგროვებისა და გამრავლების გარდა, მიმდინარეობს მათი ბოტანიკური დესკრიპტორების მიხედვით დახასიათება და სამეურნეო ნიშნების მიხედვით შეფასება. გენბანკის ახალ თანამედროვე მაცივარ-საცავში დაცულია თანამედროვე ჯიშების, ხალხური სელექციის ჯიშებისა, სასელექციო მასალისა და ველური მონათესავე კულტურების თესლის 3000-მდე ნიმუში. თუმცა მონაცემების შენახვა ხდება Excel-ის ფაილში, ვინაიდან გენბანკს არ გააჩნია სპეცილური პროგრამული უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კავკასიის რეგიონული თესლის ბანკში დაცულია მცენარეთა 1500-მდე ნიმუში. მონაცემების შენახვა წარმოებს Botanical Research and Herbarium Management System (BRAHMS) გამოყენებით, რომელსაც აქვს ჰერბარიუმის, თესლის ბანკისა და ცოცხალი კოლექციების მოდულები.

<sup>17</sup> დამტკიცებულია სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 25 თებერვლის #2-51 ბრძანებით

„ცოცხალი გენმოდფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონის თანახმად საქართველოში აკრძალულია ცოცხალი გენმოდფიცირებული ორგანიზმების გარემოში გამოთავისუფლება ან საბაზრო ქსელში განთავსება. გბრდს-ს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ახლახან შეიქმნა ცოცხალი გენმოდფიცირებული ორგანიზმების კონტროლის განყოფილება, რომელთა მოვალეობასაც წარმოადგენს გმოს-არალეგალური გამოთავისუფლების შემთხვევების გამოვლენა. „ცოცხალი გენმოდფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამინისტრო აწარმოებს ცოცხალი გენმოდფიცირებული ორგანიზმების ერთიან რეესტრს, რომელშიც აღირიცხება ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებული გენმოდფიცირებული ორგანიზმების შესახებ ინფორმაცია. ამ რეესტრის დოკუმენტურ ვერსიასთან ერთად იქმნება ელექტრონული ვერსია, რომელიც სპეციალურ ინტერნეტგვერდზე განთავსდება. ჯერჯერობით ასეთი რეესტრი არ არის შექმნილი. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის დებულებაში არ არის ასახული ფუნქციები და მოვალეობები გენმოდფიცირებული ორგანიზმების მართვასთან და რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით. თუმცა, პრაქტიკაში, აღნიშნულ ფუნქციებს სამინისტროში ასრულებს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველო.

**რეკომენდაციები აგრობიომრავალფეროვნებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მართვის თაობაზე**

- უნდა შეიქმნას ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად მართული ტერიტორიების მონაცემთა ბაზა, რომლის მართვაც მიზანშეწონილია იყოს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია უნდა აისახოს ცენტრის დებულებაში. ბიომეურნეობების მონაცემთა ბაზა შესაძლოა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის ერთერთი მოდული. უნდა შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი სერტიფიცირებული ბიომეურნეობების სავალდებულო რეგისტრაციისათვის ინფორმაციის მართვის სისტემაში. ასევე, განხილული უნდა იქნეს ბიომეურნეობის შესახებ მონაცემების მოპოვების შესაძლებლობა შინამეურნეობების ყოველწლიური გამოკითხვის ფარგლებში, რასაც ახორციელებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ან სასოფლო-სამეურნეო აღწერების დროს. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა შინამეურნეობების ყოველწლიური გამოკითხვის მეთოდოლოგიაში.
- სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ჯიშების საერთო რაოდენობის ტენდენციის გამოსავლენად შესაძლოა მონაცემების მოპოვება, ასევე, მოხდეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ყოველწლიური სასოფლო-სამეურნეო კვლევების ფარგლებში. საჭიროა შესაბამისი ცვლილებების შეტანა შინამეურნეობების ყოველწლიური გამოკითხვის მეთოდოლოგიაში შინაური ცხოველების ჯიშებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით.
- აგრარული უნივერსიტეტის გენბანკის, ასევე ეროვნული ბოტანიკური ბაღის მონაცემთა ბაზები უნდა იქნეს დაკავშირებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ერთიან სისტემასთან. უნდა შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი მონაცემთა წარმოებისა და გაზიარებისათვის.

- გმო-ს არალეგალური გამოთავისუფლების შემთხვევების შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელ უწყებად უნდა განისაზღვროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახურის ფუნქციად უნდა განისაზღვროს მონაცემთა ბაზის წარმოება ჩაკეტილ სისტემებში ცოცხალი გენმოდულიცირებული ორგანიზმების გამოყენების შესახებ, ასევე, ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმში (CHM) შესაბამისი მონაცემების ასახვა.

## 8. საზოგადოების ცნობიერება-, ჩართულობა-, განათლებასთან დაკავშირებული მონაცემები

დღეის მდგომარეობით არ არის განსაზღვრული უწყება, რომელსაც ოფიციალურად ევალება აღნიშნული მონაცემების წარმოება და შენახვა.

სპეციალური კვლევა ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების დონის შეფასების მიზნით არ განხორციელებულა. არ არსებობს საბაზისო ინფორმაცია/მონაცემები. თუმცა საცდელი კვლევა საბაზისო ინფორმაციის შესაქმნელად ჩატარებულია IBIS/GIZ-ის მხარდაჭერით. შედეგები ინახება პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. GIZ-ის მხარდაჭერით ამჟამად მიმდინარეობს საბაზისო კვლევა „Knowledge, attitude, practice“ (გორბი). აღნიშნული კვლევის შედეგების მიხედვით მოხდება საზოგადოების ცნობიერებასთან დაკავშირებული ინდიკატორის წარმოების მეთოდის განახლება. მეთოდოლოგიის განახლების შემდგომ უნდა მოხდეს უნდა მოხდეს შესაბამისი ინსტიტუტის შერჩევა, ვისაც კანონმდებლობით დაევალება მეთოდით დადგენილი პერიოდულობით კვლევის განხორციელება და ანალიზი.

### **რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია, რომ მომდევნო კვლევები განხორციელებული იქნეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ იგივე მეთოდით, რაც გამოყენებული იქნება საბაზისო კვლევაში („Knowledge, attitude, practice“ (გორბი). თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ გბრდს-ის მიერ მოხდეს კვლევის განხორციელების დავალება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციისათვის ან საკონსულტაციო კომპანიისათვის. კვლევის მეთოდი დამტკიცებული უნდა იქნეს. მონაცემთა არქივირება უნდა მოხდეს და მისი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, რაც შესაბამისად ასახული უნდა იქნეს ცენტრის დებულებაში.

ინდიკატორის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაცემების/ინფორმაციის გენერირების შესაძლებლობა მოსწავლეებს, სტუდენტებსა და პედაგოგების რაოდენობის შესახებ, რომლებიც ინფორმირებული არიან ბიომრავალფეროვნების შესახებ. განხილული უნდა იქნეს შესაბამისი კითხვარების დამატების შესაძლებლობა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ტესტებში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია

თანამშრომლობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

## 9. ფინანსური რესურსები

CBD-ის XII/3 გადაწყვეტილების თანახმად ქვეყნებმა დამტკიცებული ფორმატით უნდა მოახდინონ ანგარიშგება ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისა და გარე დახმარების ფაქტიური დანახარჯების თაობაზე. სამინისტროს საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობის წარმართვა შედის **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის** ფუნქციებში.

რეკომენდირებულია დანახარჯების მონაცემთა ბაზის წარმოება ფინანსური ანგარიშგების შესახებ კონვენციის XII/3 გადაწყვეტილების მოთხოვნების შესაბამისად.

## 10. საერთო რეკომენდაციები

- ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მართვასთან დაკავშირებული ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის შესაბამისი პასუხისმგებლობა (პირველადი მონაცემის გენერირების მეთოდი, პერიოდულობა, მონაცემთა ბაზის წარმოება, სისტემატიზაცია, შენახვა, პირველადი მონაცემების ანალიზი და მეორადი მონაცემების გენერირება) უნდა განისაზღვროს შესაბამისი ნორმატიული აქტით. „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კანონის პროექტის არსებული ვერსია ქმნის სამართლებრივ საფუძველს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, განსაზღვრავს მის მიზანს, მონიტორინგისათვის პრიორიტეტულ სახეობებსა და ჰაბიტატებს. კანონპროექტის თანახმად მრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება დებულებით „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავენ სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. აღნიშნული წესის დამტკიცება მთავრობის დადგენილებით მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ გარკვეული მონაცემების/ინფორმაციის გენერირებასა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოებაზე პასუხისმგებელი იქნებიან სხვადასხვა სამინისტროების სისტემაში შემავალი სამთავრობო უწყებები. ამავე წესით უნდა მოწესრიგდეს ურთიერთობა, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ფარგლებში, უნივერსიტეტებთან, კვლევით ორგანიზაციებთან, საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დადგენილებით „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის შესახებ“ უნდა შეიქმნას

სამართლებრივი საფუძველი NBMS-ის მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის და განსაზღვროს მისი შემადგენლობა, შეხვედრების პერიოდულობა (სულ მცირე კვარტალურად), ორგანიზაცია, რომლის ფუნქციაც იქნება სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრების ოქმების შედგენა და შეთანხმებული ქმედებების მონიტორინგი.

- აღნიშნული დადგენილებით უნდა დამტკიცდეს ინდიკატორები, ინდიკატორის წარმოებისათვის საჭირო მონაცემები/ინფორმაცია (სრული ჩამონათვალი) და მათ წარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია, რაც შემდგომ, თავის მხრივ, უნდა აისახოს ამ ორგანიზაციების დებულებებში, როგორც მათი ფუნქცია/მოვალეობა.
- ყველა ორგანიზაციაში უნდა გამოიყოს სპეციალური შტატები და განისაზღვროს კონკრეტული მონაცემების/ინფორმაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები.